

1978

1978 ՎՃՅՈՑՅՈՐԻ ՈՒՅ

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՀՈՅՈՐԻՑՅՈՐԻ

ԻՆՎԵՆ



გილოცავთ ახალ წელს


გივი შიშინაძე

გილოცავთ, გილოცავთ,
ამ ღამეს წელს,
დათოვლილ მინდორს და
გარინდულ ტყეს!

გილოცავთ ნაძვის ხეს,
თეთრ შუქს რომ გავუნს,
უამრავ კეთილ თვალს,
უთვალავ ფერს,
სამიოდ და სამოყვროდ
გამოწვდილ ხელს
და ახალ სიმღერებს—
შეცვიურ ხმებს!

გილოცავთ თქვენსავით
ნათელს და წრფელს—
ამ ახალ სახარულს,
ამ ახავ წელს!





თეთრი, კლვანთა სარკმლიანი სახლი

დოდო ვადაშვილი

ნახატები ელსარე აბოშვილისა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი თოვლის პაპა. პაპა თოვლის აგურით აშენებულ სახლში ცხოვრობდა და ამიტომ კედლები თეთრი იყო. სახლს, კრამიტის ნაცვლად, კუბოკრულად დაქრილი გოჭინაყი ეხურა, სარკმელს გამჭვირვალე ალვანაჰი ჰქონდა ჩასმული. სახურავიდან ჩამონადევნთი ლოლუები კი დაშაქრულ ჩურჩხელასავით ტკბილი იყო.

პატარა, თეთრი სახლი უღრან ტყეში იდგა. ხეებს შორის მზე თუ გამოჰქეცვას მოახერხებდა, ალვანაჰის სარკმელი და ყინულის ლოლუები ცისარტყელასავით ნაირ-ფერად აკრიალდებოდა და ალიცილიცდებოდა. სახლს კარი დაბრუნული ნაშუქისა ჰქონდა, რომელსაც ხშირად გზა აბნეული და მოშიებული ცხოველი წაჰკამდა ხოლმე, მაგრამ კარი ისევ მთელდებოდა.

საკვამური დღენიადაგ უალიონივით ბოლაგდა. ბოლი ნელა მიიზღაწენებოდა, მერე ხშირ

ტოტებში გაიბლანდებოდა და გზას რომ იპოვიდა, ზემოთ-ზემოთ წავიდოდა.

ცაში ასულ ბოლს ბუხრის პირას პაპის ნაშობობი ტკბილი ზღაპრები აჰქონდა, ის ზღაპრები ზაფხულში თუთუნა წვიმად უბრუნდებოდა მინდორ-ველს და თვალუწვდენელ ყანებს. ხანდახან სეტყვადაც ჩამოიყრებოდა ხოლმე, მაგრამ არაფერს ვნებდა. ზღაპრის სეტყვა უფრო ალამაზებდა და ამშვენებდა არემარეს. შამთარში ხომ ნელ-ნელა, მოხატულ ფიჭებად წამოვიდოდა და მთელ მდამოს დაეფინებოდა. ქარისაგან გაბდღვნილ, გაფარჩხულ ხეებს დააბარდნიდა, მთებს ჩამოთოვდა, თივის ზვინებს წოწოლა ქუდეებს ჩამოაფხატებდა.

დავიჯერო, თოვლის პაპას თეთრ სახლში არ გინდათ შეიქყიტოთ?!

თუ გინდათ და, მობრძანდით!..

პაპა განა მარტო ცხოვრობს, შვილიშვილებიცა ჰყავს.

გოგოს ფიფქია ჰქვია, ბიჭს—გუნდა.
სახლში, ბუხარის წინ, კრელი ფარდაგია გაფე-
ნილი. ოთახის ერთ კუთხეში დიდი ტელევიზო-
რი დგას, მაგრამ ჩვეულებრივი არ გეგონოთ,
ფერადია და ჯადოსნური.

შუა ოთახში თეთრსუფრა გადაფარებული მა-
გიდა დგას. საიდუმლოდ უნდა გითხზათ, ეს მა-
გიდაც ჯადოსნურია.

ერთ კედელზე თაროებია მიკედებული და ზედ
გირჩები, რკო, სოკოები, კაკალი, წიწიბო, წაბ-
ლი, გულაფშუტას თესლები, ფერად-ფერადი
ფოთლები აწყვია.

მოპირდაპირე კედელზე უფრო განიერი თა-
როებია, სულ სხვადასხვა ფერი, ერთად—ნამდ-
ვილ ცისარტყელას ჰგვანან.

იმ თაროებზე ნაძვისხის უამრავი ბრჭყვიალა
სათამაშო აწყვია. მერედა, იცით—საიდან გაჩნდა
ეს კრელ-კრელი სათამაშოები? თოვლის პაპა
თვითონ აკეთებს ყინულისაგან, ფიფქებისაგან და
ტყის უფვაღვი მადლისაგან.

არ დაგავიწყდეთ, ქოხში, პირდაპირ მიწიდან
ამოსული პატარა ნაძვი დგას. ფეხები ნიადაგში
აქვს ვადგმული და ისე არხვინად გამოიყურება,
ფითომც შუაგულ ტყეში ცხოვრობდეს.

იმ დღეს ფიფქია და გუნდა შინ დაფეთებუ-
ლები შემოცვივდნენ. ალბათ ტყეში უნავდა,
ისე დაბრაწოდით ლოყები, სიმწრისაგან ხელ-
ფეხს იქნევდნენ. სახე აბეგები კართან მიყარეს
და ბუხარს მიაშურეს. გოგო-ბიჭი მარტო არ მო-
სულა, უკან ურებწყაპუნა, კლაკუნა, ბუძგია და
კუდბუთქუნა ხტუნვა-ხტუნვით შემოაყვენენ. გა-
თოშილებს ცეცხლი ეამათ.

ნაძვზე რაღაც ახმაურდა, პაპას გაელიმა:—
რაო, საკუთარი ლიკლაკი მოგწონსო?!

ნაძვე უნულისაგან გაკეთებული ზარი ბრო-
ლად ქცეულიყო და წკრიალებდა. ასე იყო მუ-
დამ: პაპა დაავროვებდა გამჭვირვალე ყინულს,
ფიფქებს, კენკრის სხვადასხვა ფერის წვეწვს და
შეუდგებოდა სათამაშოების კეთებას. ყინულს
გვერდით გირჩს ან კაკალს მოუდებდა: „აბლი-
ბაბლი, ვერცხლის ტახტი, მზით ავიღე, მთვარით
დავდგო.“ აღუდუნებოდა. მერე რკინის კუდიან
ჯოხს დენში ჩართავდა, იმ ჯოხს წვერიდან ნა-
პერწყლები წასცივდებოდა, აწიწიკებოდა.
პაპა ჯოხს სათამაშოს თავზე შემოავლებდა და
მეტოც თითქმის ალაგაფერი იყო საჭირო. პაპა
ნახელავს ზეზე დაჰკიდებდა და დაელოდებოდა,





როგორც კი სათამაშო ბროლად იქცეოდა, მობუცის თვითონვე გამოელაპარაკებოდა თავის ენაზე.

მ. რ. მ. მ. მ.

გუნდამ ტელევიზორი ჩართო. აღმავალი დიდი მინა და ქალაქის განიერი ქუჩა გამოჩნდა. პაპის გაელმია:

— ხედავთ, ქალაქში ჯერ ზამთარი არც კი დამდგარაო.— მერე წითელ ღილაკს ჩამოჰკრა ხელი და... იქ, ბავშვების ტელევიზორებში ტყის ფერადი ზღაპრები გამოჩნდა.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მწვანეში ჩაფლული, ლამაზი ქალაქი, სადაც ერთმანეთის მოსიყვარულე და-ძმა ცხოვრობდა. იმ და-ძმის ხანდახან ჩხუბიც მოსდობოდათ: წიგნი ეკირათ ხელში, წიგნს ჩასთხლიშავდნენ ერთმანეთს, ჯოხი ეკირათ, ზურგზე გადაუტყლაშუნებდნენ. ატყდებოდა ერთი წიოკობა და ტელევიზორიც ჩუმდებოდა, ზღაპრები უფერულდებოდნენ.

ერთხელ ძმამ და ისე გაიმეტა, იატაკზე სისხლის წვეთები შეამჩნია.— ვაიმე, სისხლი რატომ მოგდისო!— შეშინებულმა სასწრაფოდ დასცვირსახოციით სისხლი მოსწმინდა ცხვირიდან.— გტკივ? არ მინდოდა, შემთხვევით მომივიდოაო.

თოვლის პაპა ყურადღებით აკვირდებოდა გოგობიჭის ქცევას და საუბარს, მერე უბის წიგნაკი მოიმარჯვა. ხან ვის სახლში შეიხედა, ხან ვის სახლში. იწერდა და იწერდა რაღაცას, ბოლოს ადგა, ტელევიზორი გამოართო, წიგნაკი ჯიბეში ჩაიღო და ჭრელი ხურჯინი გამოიტანა:

— აბა, სათამაშოები მომაწოდეთ, თორემ ვეღარ მოვასწრებთ,— სთხოვა შეიღობილებს.

აფუსფუსდნენ ბავშვები, აჰყვნენ ციცილისპირის მიმსხდარი ცხოველები, გუნდამ პაწია კიბე მოარბენინა, ხან ერთ თაროს მიაყუდა, ხან— მგორეს. სათამაშოებს ფიფქის და პაპის აწვდიდა, ისინი კი ჭრელ ხურჯინში ფრთხილად ალაგებდნენ. ცხოველებიც დაუზარებლად დახტოდნენ და როგორც შეეძლოთ, ისე მონაწილეობდნენ ამ საახალწლო საქმიანობაში.

უეცრად სად იყო და სად არა, ქარი ამოიქრა. მძლავრად დაუბერა, ვეება ხეები ააჭრიალა, მუხებს კენწეროები მიუზნიქ-მოაუზნიქა. მერე ალგახაზის სარკმელს მოაწყდა.

თოვლის პაპამ მხრები აიჩჩა:— რამ გააგოვა, რაღა ახლა მოუნდა ტყე-ტყე ქროლვაო,— მაგრამ უეცრად სახლს ზუზუნით შემოაფარა და... ნაზუქის კართან დიდი მარხილიც მოსრიალდა. მარ-



ხელში იასამნისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონა იჯდა, რომელსაც თავს უვითელი გვირგვინის მსგავსი ქული უმშვენიედა, მხრებზე კი სპილენძისფერი თმები ეყარა.

მარხილმა, ორივე მხრივ აღმართული ვეება ფრთა მოკეცა. კარი თვისით გაიღო და გოგონა ოთახში შემოფრინდა.

თოვლის პაპას გაეღიმა:—რაო, ჩაწყნარდი?

ქარმა ხელები აიქნია და პრილა წამოსახსნა მიტახტე მიავლო.

— აბა, ქარიანი ღამე ვის რად უნდა! ამაღამ, წუნარი, ბუბუნა ღამე უნდა იყოს, კეთილი ახალი წელი დაუდგეს ხალხს. მოვედი, საჩუქრები უნდა წავაღებინო.

პაპამ მადლობის ნიშნად თავი დაუქნია:—ეგრე, ეგრე, ჩემი ხურჯინი ისეთი მძიმეა, ქარის ფრთები თუ წიდავს.

ამ დროს, ქოხში დათუნია-დრუნია შემოგორდა, ძილისაგან თვალები დახიებოდა.

— მარხილზე ხურჯინის დადებაში უნდა გიშველოთ,—მერე ქარს მიუბრუნდა,—შენს მარხილს საჭე და მუნრუქები რიგზე აქვს?

ქარს ეწყინა:—როდის იყო ჩემი მარხილი უწყესრიგოდ?

დათვი დაბალ სკამზე ჩამოჯდა და ჩაბურღულა:

— მართალია, შენ წესრიგში გაქვს ყველა-

ფერი, მაგრამ ხანდახან რომ ააფრენ, ჩვენი რვე-დაგვრევე ხოლმეო,—ყველას გულიანად გაეცინა.

ქვეყანაზე კი შუალამე ნელ-ნელა დგებოდა. ორი ოქროსფერი ისარი საცაა საახალწლო მისალაოცად ერთმანეთს გადახვევოდნენ და ზარის წკრილითი აღამიანებს ამცნობდნენ:—ახალი წელი მოვიდა, თქვენ იცით, როგორ დახვდებითო!

ქარის მარხილი ერთბაშად მოსწყდა ადგილს და ქვეყანას მოედო; ყველა სახლის წინ ჩერდებოდა, გუნდა და ფიფქია პაპის პარკებად შეკრულ საჩუქრებს, სადაც ბავშვები იყვნენ, ყველგან—კარის წინ აწყობდნენ.

ჩვენი ნაცნობი და-ძმა შემინებული მიმხედარიყვნენ სარკმელთან. დედას ეთქვა:—თქვენისთანა მოჩხუბრებს საჩუქარს ვინ მოუტანსო,—მაგრამ პაპა ასეთ დღეს უსაჩუქროდ ვერავის დატოვებს.

უეცრად, თეთრმა, კრილა მარხილმა შხუილით ჩაუქროლა მათ სახლს, ორივე თვალებად იქცა; აქამდე ასეთი ღამეში არაფერი ენახათ. მერე ისიც დაინახეს, სახლის კართან ვილაცის უხილაგმა ხელმა წითელ-ყვითელი პარკები როგორ დააწყო და და-ძმამ სიხარულით შეჰყვირეს, ერთმანეთს გადახვივნენ.

ქვეყანაზე ნამდვილი ახალი წელი იდგა.

საახალწლო წესრიგი

მზია ჩხატინანი

<p>საახალწლო ღამეა ზღაპარს ქსოვს ზამთარი ბებერი, დატრიალებს თოვლის პაპა, როგორც მეკვლეს შეპფერის. აბა, ვანი, აბა, ტაში!</p> <p>გული ღებნით ივსება, საახალწლო კარნავალი გააჩაღეს ფიფქებმა. ვაჟი ოქროსქოჩრიანი—წელიწადი ახალი</p>	<p>ოქროს ვეღლით მოგრიალდა, მთა და ბარი დამხარის. ნაძვის ხეებს დაურბინა, ასფრად ააჩხანახა, მხიარული, სალოლობო სიმღერებიც დასძახა.</p> <p>მოფარფატე ფანტელები თეთრად შემოგვაშუქა, კარგი გოგო, კარგი ბიჭი ყველა დაგვისაჩუქრა.</p>
---	--

მოუთოვია

ბაქან სვანიძე

წუსელი მოუთოვია,
დაუბარდნია ისე,
დამსიმებული ტოტები
დასულა მიწის ზირზე...
ქათქათა თოვლში თინიკო
დარბის და დაკისკისებს,
მერე შესობელს გასძახს:
— ნინიკო, გაიღვიძე,
შარშან რომ თოვლი წაყვიდა,
სედავ, მოსულა ისევე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წუნია ფისო

წუნუ ძალაბიძე

წუნიაა ფისო,
თვალზე ცრემლი სდისო,
რე გინდა რომ არ მივართოთ,
არ ხვარებს ზირსო.
ფაფან ცხვირი აუბზუა,
სუნი ახდის რმისო,
თვესებს თათი აუქნია,
მეშინია ფისისო,
წიწილს სედავ არ შესედა,
ველში არ წამდისო.



კერა

ნოდარ კეკელიძე

თოვს, ხევრივლად თოვს. თეთრი, ფაფუკი საბურველით შემოსილა არემარე. ზემოთ ბოლისფერ ნისლში გახვეული მთები უჩვეულო მყუდროებას მოუცავს.

ვიწრო ორღობეში ზურიას, თემურსა და ნუგზარს ციგები მოულოდნელია და ვაუკვალავ გზას ხალისით მისდევენ. ფუმფულა თოვლს საამო ხრამხარეში გააქვს.

ჩაივაცეს თუ არა, მაღალი, ტყრუშული ღობის გადაღმა ბავშვებმა გიგია პაპა შენიშნეს, ხალხა დაეკავებინა და თოვლით დამძიმებულ ხეხილის ტოტებს სიფრთხილით უჩაქუნებდა.

— შეხედეთ, ბიჭვო! — ზურიამ მოხუცისაკენ გააქნია თავი.

— მაშ, რა ქნას, — მხრები აიწურა ნუგზარმა, — ვერ ხედავ, ლამის არის ტოტები თოვლმა ჩამომტვრიოს!

— შარშან ვერე არ მოგვივიდა, — თქვა თემურმა, — იმხელა თუთის ხეს ტოტი არ შეგვიორჩინა.

— მაგას კი არ ვამბობ, გიგია პაპა რომ ნაჯადმყოფარია, დაგაგინყდათ? თოვლში დგომა ხეირს არ დააყრის, ნამდვილად შეუბრუნებს, — თქვა ისევ ზურიამ.

მოხუცს მართლაც უკირდა მუხლებამდე თოვლში სიარული. იგი მალ-მალე შედგებოდა, ხალხას დაუშვებდა და თავ-კისრიდან დანაბერტყ თოვლს იშორებდა.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე საციგუროსაკენ გააპარეს მხერა. ნუგზარმა ერთბაშად მოსჭრა:

— მართლაც, თუ შეუბრუნდა, ვეღარ გადაიტანს!

ეზოში შესული პატარები ვაკვირვებით შეათვლიერა მოხუცმა, წამით გაირინდა, მერე ხალხა დაბლა დაუშვა, ოფლიან შუბლზე დაკოჭრილი ხელი გადაისვა და ჩაილაპარაკა:

— ძალიან დაიბრიყვა ამ ვერანა თოვლმა ხეხილი, ვერე თუ ითოვა, ხეს ტოტი არ შერჩება.





— აბა, ცოტა ხანს მათხოვე, — ზურია ხალხას წაეტანა.

— საქმეზე რომ მიმავლებულხართ? — მომღიმარმა გიგია პაპამ თვალი ღობესთან აყუდებულ ციგებს შეაელო.

— მაგ საქმეს მერვე ცოვასწრებთ, — თქვა ნუგზარმა და საჩეხიდან მეროვე კოკი გამოათრია.

— თქვენ გაგახარათ ღმერთმა! — სახე გაეზადრა მოხუცს. — სიმართლე გითხრათ, ამ საქმეს მარტო ვერ აუუვიდოდი, ჰე, ჰე, რა ბიჭები იზრდები!

ცოტა ხანში თოვლის სიმძიმისაგან განთავისუფლებული ტოტები შუილით ასხლტნენ ცისკენ. მერე ყმაწვილები მოხუცმა

შინ შეიპატრია და ავუზგუზებულ ბუხართან ტაბლა გაუწყო.

დიდი ხანია, რაც გიგია პაპა მარტოღმარტო ცხოვრობს. სანამ შეიღები წამოგზრდებოდნენ, რა უქირდა, საქმეც იოლად მიდიოდა, დაიხარდნენ და ერთმა ქალაქს მიაშურა, მეროვე — რაიონში დასახლდა. იშვიათადლა აკითხავდნენ, წუწუნებდნენ, — ვერ ვიცლითო. რამდენჯერ შესთავაზეს გიგია პაპას: — აქაურობას თავი მიანებე და წამოგყვევიო, მაგრამ არ ქნა მოხუცმა.

სტუმრები გვიანობამდე ისხდნენ მოგუზგუზე ბუხრის პირას და ინტერესით ისმენდნენ გიგია პაპას მოყოლილ გარდასულ ამბებს.

ფეორე დღეს, როცა ბიჭებმა მოხუცს ისევ მიაკითხეს, მასპინძელი ლოგინში მწოლიარე დახვდათ.

— რა დაგემართა პაპა?—ჰკითხეს შეტებუნებულმა სტუმრებმა.

— ალბათ გავცივიდი, შეიღებო, — გატეხილი ხმით ჩაილაპარაკა მოხუცმა, — თავი მტკივა, ტანში მამტვრევს.

ბავშვებმა მაშინვე ექიმი მოუყვანეს და დაავადმყოფი გაასინჯეს. ექიმმა თავი გადააქინა:— ფილტვების ანთება აქვს, საავადმყოფოშია გადასაყვანიო. ავადმყოფმა იუარა:— სამაგისო არაფერი მჭირსო, — მაგრამ ვინ უფლო ყური, მოხუცი სასწრაფო დახმარების მანქანით თვალისდახამხამებაში საავადმყოფოსკენ გააქანეს.

მას მერე, რაც გიგია პაპა საავადმყოფოში დააწვინეს, ზურია და მისი მგვობრები იმის ეზო-ყურეს აღარ მოშორებია. ყველაფერს იმგვარად აკეთებდნენ, როგორც გიგია პაპას უყვარდა. ის კი არა, ზამთარი ახლა დაიწყო და ყინვები უფრო მოუჭერსო, ზურიას მამამ ერთი მანქანა შეშაც მოიტანა და ყველამ ერთად—საჩვენში წყობით დააწყაო.

სავადმყოფოდან ახალი წლის წინა დღეს გამოწვრეს გიგია პაპა. აბა, იცოცხლეთ, დატრიალდნენ პატარები, მიაღაგ-მოაღაგეს იქაურობა, ბუხარს შეშა დაამატეს, მაგიდა ბუხრისკენ მიაჩოჩეს და სახლებიდან მოტანილი სანოვაგით სუფრის გაწყობას შეუდგნენ. მაგიდა ისე გაივსო სასმელ-საკმელით, ტევა აღარ იყო.

გიგია პაპას სიხარულისაგან თვალი ცრემლით დაენამა, როცა მორთულ-გაქრიალებულ თავის ოთახში ტაბლასთან მიუჩინეს ადგილი. ზურიამ ბადაგით საესე კიქა მალლა ასწია და ყველას გასაგონად თქვა:

— შენ გაგიმარჯოს გიგია პაპავ, დაესწარ მრავალ ახალ წელს! ნურასოდეს განელებულიყოს ობოლიანთ გუზგუზა კერა!

გარეთ კი ბარქიანად თოვდა, გიგია პაპას საბუხრიდან ამობოლქვილი თეთრი კვამლი სადღაც ზემოთ ტაატით მიიწვედა და ნისლში თუ თოვლის ხშირ ფანტელებში იკარგებოდა.

ქართული
საბავშვო
საგანები

საახალწლო

ღია ასათიანი

ახალი წელია,
ახალი წელი!
თოვლმა გადაბურა
მთაცა და ველიც.
ნამდისხემ მოისხა
მძივები ქრელი.
წრეს ვუვლით გარშემო,
ვეცკვავთ და ვმღერით.
თან თოვლის ბაბუნას
საჩუქრებს ველით,
საჩუქრებს—მოტანილს
ფიფქიას ხელით.

ზამთარი

ღარი ბაგიაშვილი

გოგის, ზაზას და მანანას
ახარებთ მოსვლა ზამთრის,
ფანტელი ცვივა იმდენი,
ალბათ ვერაფერ დათვლის.
თოვლში დარბიან ბავშვები,
სიცილ-კისკისი ისმის,
ზოგი თოვლის კაცს აკეთებს
და ზოგიც—გუნდას ისვრის.





გაუგებარ- ობა გრძე- ლდება

ობია იოსელიანი

უჩამ მეგობარი ჯერ ხულიგანი ბიჭებისაგან დაიცვა, მერე დაუეჭილობის მალამო დააღვივნა, მის სასიკეთოდ ერთი ჩაიდანნი თბილი წყალი დალია, კუჭი ამოირეცხა და ზაზა კი მაღლობის

მაგიერ სულ გაებუტა. სხვას ვინ ჩივის, კარც არ გაულო,—შენი ნაცნობობაც აღარ მიჩნდება. კვირა დღეს მოწაფეები ისვენებენ ბავშვები დიდიდანვე ირევიან. უჩა კიბეზე ზის და მეგობარს ელის. როცა ზაზა გამოჩნდა, გზა გადაულოდა, მაგრამ მეგობარმა შეუბღვირა:

- თავი დამანებე!
- მეგობალი ვალ!—გაჯიუტდა უჩა.
- ეს არის მეგობრობა?!
- შენ ხომ მითხალი...
- მე რა ვითხარი!—გაბრაზდა ზაზა,—მე ვითხარი, ხულიგანი ბიჭები მომისიე, წასასმელი მყრალი მალამო დამაღვივნე და ჩემს მაგიერ კუჭი ამოირეცხე-მეთქი?
- მეგობალი ვალ...—ვერა და ვერ შეეღია უჩა მეგობრობას.
- შენ მეგობარი კი არა, ჯიუტი და სულელი ხარ!—ზაზამ უჩას ხელი ჰკრა და კიბეებზე ჩაირბინა. აღრიალებული უჩა უჩან დაედევნა, მაგრამ წინ სანოვავით დატვირთული დეიდა ეკვირინე შემოხვდათ. დეიდა ეკვირინემ ჩანთა მკლავზე წამოიკცა, შვილს ყურში ხელი ჩააქლო და თან გაიყოლია.
- შინ—უჩას მამა ზაზას ბეზიასავით სავარძელში იჯდა და მთელი კვირის გაზეთებს კითხულობდა.
- ეკვირინე, ბავშვს ყურს რატომ ახევე?—იკითხა მამამ ბოხი ხმით.
- გაუშრო სისხლი მეზობლის ბავშვს, არ აყენებს და ქვეყნის გასაკონად ღრიალებს,—აუხსნა დედამ.
- რატომ არ აყენებ უჩა, მეზობლის ბავშვს?—ახლა შვილს მიუბრუნდა ძალიან ბოხი ხმით მამა.
- მეგობალია...—ასლუქუნდა უჩა.
- ეკვირინე, თუ მეგობრები არიან...—დაიბნა მამა.
- რა იცის მაგ დაფსხრეკილმა მეგობრობა?—გაიოცა დედამ.
- ვიი-ციი!—აღრიალდა უჩა.
- ეკვირინე, მე ნერვები არ მივარგა და ბავშვის ყურის ახევას და ღრიალს ვერ ვიტან... რა ვქნა?—ხმა დაუწვრილდა მამას.
- თუ ვერ იტან, ადექი და, გააჩუმე,—დააბრიალა დედამ.
- ესე იგი, გავაჩუმო?—გონს მოეგო მამა.

— გამაჩუქე! — არც უჩას უნდოდა ყურის ახვევა და ტირილი.

— რა გინდა შენ, ბოლოს და ბოლოს! — ისევ დაუბოხდა ხმა მამას და გაზეთები ტანტზე მიყარა.

— მეგობალი! — შეტირა უჩამ.

— მერე, მე სად გიშოვო მეგობარი? — ხმა და ხასიათი წაუხდა მამას.

— ზაზაა მეგობალი!

— მაშინ, გყოლია და ევგაა, — ამოისუნთქა მამამ.

— მებუტება! — ამოიხონრა უჩამ.

— ესე იგი, როგორ მოვიტყე?.. შეგარიგოთ, თუ...

— შემალიგე!.. — შეწყვიტა ტირილი და ცხვირი გოჭივით ასწია უჩამ.

— მე როგორ შეგარიგო? მეგობარი შენია, თუ რაიმე აწყენინე, მიდი, ბოდიში მოუხადე და შერიგებული იქნებით.

უჩამ იშვირა ფეხი და კბეებზე კისრისტეხვით დაეშვა. ეზოში ბავშვები კუკუდამალოზანას თამაშობდნენ. ჭადრის ხეს მიმხობილი კიკინებიანი პირველკლასელი ჭოგო ითვლიდა:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...

ბავშვები აქეთ-იქით გარბოდნენ. ზაზა ვერ აღვისხის ძირს მიეფარა, მერე გადაიფიტრა და ჭიშკართან დაგორებულ ბეტონის გაბზარულ, უშველებელ მილში შეძვრა. ზაზას ძალიან უყვარს, როცა ეძებენ, ეძებენ და ვერ პოულობენ. უჩას კიდევ თავისი დარდი ჰქონდა, ბეტონის მილის წინ ჩაცუცქდა და შეიჭყიტა.

კიკინებიანმა გოგომ გათვლა მოათავა, თვალეზიდან ხელები მოიცილა და ეზო მოათვალა. არავინ არ ჩანდა. ამ დროს უჩამ გაბუტულ მეგობარს შესძახა:

— ზაზა, ბოდიში უნდა გითხლა!

კიკინებიანმა გოგომ ყურები ცქციტა. — მანდ, უჩა ზაზას რომ ეძახის, ალბათ ბეტონის მილში იმალებათ, ჭადარს ხელი დაჰკრა და დაიყვრა:

— ზაზა, ბეტონის მილში იმალები, გამოდი, დაკენტილი ხარ!

გაჯავრებული ზაზა მილიდან გამოძვრა და უჩას თვალეები გადაუბრიალა:

— რა გინდოდა, რატომ არ დაეტიე შენთვის?!

— ბოდიში გითხლა, — აუხსნა უჩამ.

— არ მინდა შენი ბოდიში, დამანებე თავი, თავი დამანებე! დაკენტილი, დაბოღმილი ზაზა ჭადრის ძირს მოადგა. თვალეებზე ხელი აიფარა და ცრემლმწარევი ხმით დაიწყო:

— ერთი, ო-რი, სა-მი, ო-თხი... — გახარებულ ბავშვები ჟივილ-ხივილით გაიფანტნენ ეზოში. ყურებმამოყრელი უჩა ისევ ბეტონის მილთან იდგა, ახლა მამაზეც ნაწყენი, რომ ბოდიშის მოხდამ მეგობარი ვერ დაუბრუნა.



ნათიას ძილისაირული

ზუსანა გგელაძე

პირველი
ხიზლირთხი

ვითხის კული შევია?
ნიკოს ღეკვი ავია?
რომ ზუზუნებს ქარია?
რომ ქრიადებს კარია?
გამიგონე ბებია,
მართალს ამბობს ბაქარი?
წვიმა ცის ცრემლებია,
თოვლი—მიწის შაქარი?
მელაკულა ფლიდია?

ღვვის სახლი დიდია?
ღამე ბნელი რად არის?
ზღაპრის სკივრი სად არის?
კატას ოთხი თათი აქვს?
ორჯერ ხუთი ათია?
ერთად წავაღღ სკოლაში,
მე, გია და თათია?
ბებო პასუხს ამზადებს,
ჩაუძინა ნათიას.



წვიმა

პელენა გგელაძე

წვიმიან დღეს ორი ქოლგა
ჩვენს ქუჩაზე მიდის.
ერთი ქოლგა პატარაა,
მეორე კი დიდი.
დიდი ქოლგა დედისია,
მე—პატარა მფარავს.
ვუსმენთ,—ხეებს ჩასჩურჩულებს
წვიმის წვეთი წყნარად.
ხან ჩურჩულებს, ხან წკრილებს,
იციინის და ბრწყინავს
და ქოლგაზე გვიკაკუნებს
თოვლინარევი წვიმა.

პოლონურიდან თარგმნა

ნელი გურგანიშვილი





სულელი ციყვი

გონია ხათაგური

ერთი კუდბუთქუნა აბეზარი ციყვი სულ იმას ცდილობდა როგორმე დედისათვის გული გაეხეთქა. აქაოდა, დედას ძალიან ფუყვარვარ და მაინც ყველაფერს მაპატიებსო, ათას სისულელეს სწადიოდა. რატომღაც მისი შეშინება ხომ მეტისმეტად მზიარულ გუნებაზე აყენებდა.

ისინი ტყის პირას—ტბასთან ცხოვრობდნენ.

ერთ თოვლიან დღეს ციყვი მარტო გაი-

ნახატი გრიგოლ გაფრინლაშვილისა

ბარა სასეირნოდ. უცებ ხმაური შემოესმა, მიიხედა და რას ხედავს: მონადირეებს ვეფხვი დაუჭერიათ, უხარმაზარ გალიაში ჩაუმწყვდევიათ და სადღაც მიჰყავთ.

ციყვმა უცებ წარმოიდგინა როგორ გაუსკდებოდა დედას გული, მისი საყვარელი ციყუნია ასეთ საზარელ ვეფხვს რომ შეეჭამა. ფიქრში თავისდაუნებურად ამოუტივტივდა ვშმაკური გვგმა. ბუნქს ტოტი მოატყნა და თოვლიან ბილიკზე ვეფხვის „ნაკვლევი“

დააჩნია. ზუსტად ისე ხატავდა ბრკელებს, როგორც გალიაში ჩასმულ ვეფხვს ჰქონდა. „ნაკვალევს“ გვერდით თავისი პატარა თათებით აბიჯებდა, ვითომ. ვეფხვი ჩემს კვალს მიჰყავო. ასე გააგრძელა ტბამდე. ამით, თავისი ქკუთით, დედას ორმაგად გაუსკდებოდა გული; რადგან შვილს ან ვეფხვის შექმულად ჩათვლიდა ან ტბაში დამხვრალად. კმაყოფილი ხითხითით—იმავე კვალს უკან გამოყვავა. თან ისეთი ეშმაკი იყო, უკან-უკან აბიჯებდა, ნაკვალევი წალმა-უკულმა არ გამოვიდესო. ასე მიაღწია ბუჩქებამდე და დაიშალა.

შალე დედის ხმაც გაისმა:

— სადა ხარ, ჩემო საყვარელო შვილო!

ციყვეს კულიც არ შეფუბერტყია, არხეინად იჯდა სერის მოლოდინში. დედამ ისევ დაუძახა, მერე ძებნა დაუწყო. უცებ გულგახეთქილი შედგა, თოვლზე თავისი შვილის და იქვე ვეფხვის „კვალის“ შენიშნა, ერთი დაიგმინა და ცრემლმორეული ბუჩქებამდე სირბილით მიჰყვავა კვალს. ბუჩქიდან ახალი კვა-

ლი იწყებოდა. გამწარებული ახლა მამკლას დაადგა და ტბის ნაპირს მიადგა. „ვაიმე“-ო, დაიძახა და გულშეღონებულმა შერეულად მოაღინა ტყაპანი.

უცრად ტყიდან ნამდვილი ვეფხვი გამოჩნდა, ბუჩქებში შემალული ციყვეუნია შიშისაგან ჯერ გაშეშდა, მერე გადახტა და დედას საშველად მოუხმო, აქლოშინებული ტბის ნაპირს მიაწყდა და, რადგან შეშინებულმა ველადფერი გაიგო, იმანაც ტბაში მოაღინა ტყაპანი.

ამ დროს, სად იყო, სად არა, მონადირეებიც გამოჩნდნენ, ვეფხვი დაიჭირეს და გაწუწული დედა-შვილი ტბიდან ამოათრიეს.

ციყვეუნის ისე შერცხვა თავისი საქციელისა, დედას ველარ გაუმხილა სიმართლე, მონადირეებს კი წვრილად მოუყვა, რაც მოიპოქმედა. გაბრაზებულმა მონადირეებმა კული შაგრად აუწიეს, თუმცა საიდუმლო კი პატიოსნად შეუნახეს, რაოგან ციყვეუნია ისედაც ძლიერ განიცდდა თავის უსაქციელობას.



ჰინ ჩა თქვა?

გიორგი წყარათელი

მუნწმა თქვა:— ზური გაცვიდეს, ცხელი იქმება ბევრიო.

ზურადმა:— ცხელი შიირთვით, უკვე იჭრება ქერიო.

გლეშმა თქვა:— შიმშილს გი არა, გადაგდებულ ზურს ვტარიო.

ზურმა თქვა:— ზირს მე არ ვეძებ, თითონ შიმშილს ზირიო.

რატომ ცხოვრობს მზე და მთვარე ცაში

დიდი ხნის წინათ მზე და მთვარე ედგამიწაზე ერთად ცხოვრობდნენ. მათი საუკეთესო მეგობარი წყალი იყო და ისინი ხშირად მიდიოდნენ მასთან. ეგ არის, თვითონ წყალი არასოდეს სტუმრობდა ორ მნათობს.

— რატომ არ მოდიხარ ჩვენთან? — ჰკითხა ერთხელ მზემ წყალს.

— მე ძალზე ბევრი მეგობარი მყავს, — უპასუხა წყალმა, — ისინი ყველგან დამყვებიან და სწორედ ამ მიზეზით ვერ გწვევივართ, ვაითუ, თქვენს სახლში ამდენი სტუმარი ვერ დავეტოვო.

— ჩქარა ახად, დიდ სახლს ავაშენებთ და მაშინ მაინც გვეწვიეთ, — სთხოვა მზემ.

მართლაც, მზემ და მთვარემ ძალზე დიდი, ახალი სახლი ააშენეს და წყალიც შეპირებოსამებრ თავისი ამადით ესტუმრა მათ. რალა თქმა უნდა, ამადას თეგებულობა და წყლის სხვა ათასგვარი ცხოველი შეადგენდა.

თვალის დახამზამებში მასპინძლები მუხლამდე წყალში აღმოჩნდნენ, მერე ყვამდე უწიათ სისველემ. რა უნდა ექნათ? სახლის სახურავზე ავიდნენ, იქაც მისწვდათ წყალი. სხვა გზა არ იყო, ადგნენ და ცაში აფრინდნენ.

ძალიან მოეწონა ორივეს გაშლილი, უკიდგავნო ბეცა და რაკილა აღარც მიწაზე ედგომებოდათ, იმ დღიდან სამუდამოდ დარჩნენ ვარსკვლავების ქვეყანაში.

ინგლისურიდან თარგმნა ნანა გომიანაშვილმა



ჩემი ციგა

ნუნუ ლალიძე

თოვლის მოსვლის სიხარულმა გული ამიფრიადა, საციგაოდ დავუძახე — ირმას, ნინოს, ციადას. გავიტანე ჩემი ციგა, ღამაში და კრიადა, დავსხედით და ქუჩის ბოლოს ხედავ ჩავვასრიადა.



ტომოკანები


ყინულს გატეხავ თუ არა, ვერცხლის აღმოაჩენ იქვე, ვერცხლის შიგნით კი ოქროა, რა არის, მითხრა იქნებ?

შოთა ამირანაშვილი

უყვარს თხილის კნატუნე, ბეწვითაა განთქმული.

ვაჟა მაგრაქველიძე

თავსახე



ცარიელი უჯრედები შევსეთ საქართველოს ქალაქების სახელებით ისე, რომ ეფარდ სვეტში მიიღოთ სიტყვა „სათაფლია“.

შეადგინა ცაგერის სკოლის მოსწავლემ რამაზ ნემსიწვერიძემ.

შეშვი

იშარი ხარაძე

ენის გახატვაში

შავი შაშვი შავი ჩოხით
ხშირ შვინდნარში შეფრთხილდა...

ყველგან ნახავთ ჯიხურებში,
აკავშირებს ქუჩებს, უბნებს,
თუ ორ კაპიკს ჩააყლოებთ,
სადაც გინდა ისაუბრებთ.

კონსტანტინე ჩლაიძე

ყვინჩილა

ლოლო ავახაძე

ყოყლოჩინა ყვინჩილას
მკერდი გამოეჩინა,
თავის ოქროს ბიბილო
მთელს ქვეყანას ერჩინა.

არჩილ ზაქაშვი

ცივა

გუშინ მამამ ქალაქიდან
მოუტანა ცივა დათოს.
— ვაჟა! — ბიჭმა გაიხარა,
— ვისრიალებ, როცა დათოვ ხ!

შეშვი

შა



შა



შა




შა



ს,

ს



ლიბო კ. გომიზვილიძის

მუსიკა ჯემალ ალამაზვილიძის

ნადვისსესთან შეგვბილან
 მალხაზი თუ ნელი,
 ბრწუნიხვან ნადვი მოქარგული,—
 მუდამ ხანატრელი.
 (ვეკვავენ და იძღვრებან;
 აბა, დელი, დელი!
 სტუმრებიც ჰვავთ მოწვეული:
 ციცი, მელა, ბელი,

აბა, ტაში, ქსია, გია,
 ჰა, გაძალეთ სელი!
 მსიარულად გვატაროთ
 ეს ახალი წელი!
 ვეულა, ვეულა მსიარულობს—
 ურცქვეიბა თუ შეელი.
 ვაშა, ვაშა, ჩვენს ნადვის სეს,
 აბა, დელი, დელი!

Allarghetto

A H G F#

ნა- მეს სეს-თან შე-კუ-ხა- ნა- მალ-ხა-ნი თუ ნე-ლი,
 ტანკო-ნავს ნა-ძვი ში-ქის-გე-ლი ჰე-ღამ სა-ნა-ნა წეს-ლი შე-ღამ სა-ნა-ნა წეს-
 ლი-ცე-ცა-კენ დი-მო-ხი-ან-ბა-ღე-ლი დე-ლი-
 1. ვე-ნუ-ბე-წუ-თი-წე-ე-ლი. 2. ვე-წე-ღე-ნე-ლი. 3. ვე-წე-ღე-ნე-ლი.

შთავარი რედაქტორი მუხრან მებაჟარიანი

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი (პ/შ, მდიანი), იშვარდ აბოშანიძე, ავაქარ გომიზვილი, დიმიტრი ბარბაქაძე, ვახაშა მდივლიძე, ჯიჟიბი მუჯირი, გიორგი კრიშვილი (სახ. რედაქტორი), ილიკა მამირაძე, რობერტ ლარიანი, გიმი ანაბაძე.

საქ. ადვ. ცე-ისა და ვ. ა. ლინჩის სახელობის პოეზია ორგანიზაციის რეპუბლიკური საბჭოს ფურცალი. უდაბუ ნახტი ნომარ სულამიანი

ტერედაქტორი იმე ნადიმოვი

მასმართი: რედაქციის გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ: ში რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/შ მდიანს — 93-10-32, 93-98-17; სახ. რედაქტორის — 93-98-18; განკუთ. — 93-98-19; სამდიანსი — 93-98-16.

გაღიდა ისაწუბილ 10/IX-78 წ., ხელმოწერილია დასაბუღეთ 16/IX-78 წ., ქალაქის ზომა 60X90ა, ფხ. ნახ. ფურც. 25, ტირაჟი 158.000. შეტ. № 2557 „დილა“ № 12. ნა გრუაქსომ ვაჟკ. ფახი 20 კაბ

საქ. კვ-ის გამომცემლობა
 Издательство ЦК КП Грузии